საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/91 12. 10. 2021 წ.

MES 3 21 0001073978

12/10/2021

2021 წლის მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით მიღების გამოცხადების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წლის მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 02.07.2021 წლის №42/ნ და 08.10.2021 წლის MES 721 0001061317 ბრძანებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ვრძანებ:

1. 2021 წლის მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დაშვებული რეიტინგული სიების გათვალისწინებით განხორციელებული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვების დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადდეს მიღება ქვემოთ ჩამოთვლილ პროგრამებზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის შესაბამისად:

1.1. ელექტრობა- 2 ადგილი;
1.2. საფინანსო სერვისები- 3 ადგილი;
1.3. საბიბლიოთეკო საქმე- 8 ადგილი;
1.4. მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება- 2 ადგილი;
1.5. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება- 5 ადგილი;
1.6. საბაჟო საქმე- 1 ადგილი.

2. შესავსები ადგილების შესახებ ინფორმაცია დადგენილი წესის შესაბამისად აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 02.07.2021 წლის №42/ნ ბრძანება "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 08.10.2021 წლის MES 721 0001061317 ბრძანებება "2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმაანათლებლო დაწესებულებების მიერ, შესავსები ადგილების შესახებ ინფორმაციის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვის ვადის განსაზღვრის შესახებ".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი
როლანდ კოპალიანი

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი
ხელმძღვანელი
სვანაძე სერგო